საქმე № 010910023900163779

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-07-23 **27 დეკემბერი 2023 წელი**

თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - რევაზ ნადარაია (მომხსენებელი)
მოსამართლეები - გოჩა აბუსერიძე
თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ--- ჯ----------
წარმომადგენელი - ზ------ ვ----------

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 3 ნოემბრის №033/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 27 აპრილს საჩივრით მიმართა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ და მოითხოვა ადვოკატ ლ--- ჯ----------სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

მიმართვის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ-–- ჯ----------–---მა 2022 წლის 16 აპრილს საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ „Facebook“ გვერდს საკუთარი „Facebook“ გვერდიდან სახელწოდებით „ადვოკატი ლ-–- ჯ----------–---“ გაუგზავნა პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ტექსტი და ისინი მოიხსენია როგორც „ნაბოზრები“ და „სახელმწიფოს მტრები“. ამავე ტექსტში, ადვოკატი ლ-–- ჯ----------–--- საქართველოს პროკურატურის მიმართ იყენებს მუქარის და შეურაცხყოფის შემცველ სიტყვებს „დედას გიტირებთ“. ამავე დღეს ადვოკატი ლ-–- ჯ----------–-- საკუთარ „Facebook“-ის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ ტექსტში პროკურატურის თანამშრომლებს მოიხსენიებს როგორც „ქვეყნის მოღალატეებს“, „სახელმწიფოს მტრებს“, „ქვეყნის შემარცხვენლებს“, „გამყალბებლებს“, „მექრთამეებს“, ხოლო საქართველოს პროკურატურას კი „გველების ბუდედ“. ადვოკატმა საჯარო განცხადება განათავსა პირად „Facebook“-ის გვერდზე სახელწოდებით: „ადვოკატი ლ-–- ჯ----------–---/Lawyer L---- j----------“. დღეის მდგომარეობით ეს განცხადება აღარ მოიპოვება, თუმცა ამავე გვერდზე 2022 წლის 21 აპრილს ლ-–- ჯ----------–---ს გამოქვეყნებული აქვს ანალოგიური შინაარსის განცხადება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი მიმოწერის ამსახველი ამონაბეჭდი ავთენტურია, რადგან იდენტიფიცირებადია ლ-–- ჯ----------–---ს მობილური ტელეფონის ნომერი - 5----------, დაბადების თარიღი - 28 აგვისტო და მისი სამუშაო ადგილი - „ადვოკატი ლ-–- ჯ----------–---/Lawyer L---- j----------“. აღნიშნულ „Facebook“-ის გვერდს თავად ადვოკატი ლ-–- ჯ----------–--- მართავს, რაც დასტურდება მის მიერ თითქმის ყოველდღიურად განხორციელებული აქტივობებით და მათი შინაარსით.

საჩივრის ავტორის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, „Facebook“-ის იმ გვერდის სახელწოდება, რომლის საშუალებითაც ლ-–- ჯ----------–---მა 2022 წლის 16 აპრილს, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ „Facebook“ გვერდს გაუგზავნა პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ტექსტი, შეცვლილია და დაფიქსირებულია როგორც „ლ-–- ჯ----------–---“. ამ გვერდის გახსნით და შესწავლით ასევე დგინდება, რომ გვერდს მართავს ლ-–- ჯ----------–--- და არ წარმოადგენს მისი სახელით შექმნილ ყალბ გვერდს, როგორც თავად ადვოკატი აცხადებს წერილობით განმარტებაში.

ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას ასევე წარდგენილია ადვოკატ ლ-–- ჯ----------–---ს მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეტანილი 2022

წლის 16 აპრილის N01/13-3690, 2022 წლის 17 აპრილის N01/13-36091 და 2022 წლის 19 აპრილის N01/13-37134 წერილები. მომჩივანის პოზიციით, ამ წერილებით დამატებით დასტურდება ადვოკატ ლ-–- ჯ----------ს მიერ 2022 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებული საჯარო პოსტის ავთენტურობა. ასევე, საჩივრის ავტორმა წარადგინა ადვოკატ ლ-–- ჯ----------ს მიერ „Facebook“ მომხმარებლის „ადვოკატი ლ-–- ჯ---------- . lawyer l---- j----------“ მეშვეობით გამოქვეყნებული პოსტი შინაარსით: „მაინტერესებს ვიმსჯელოთ:- დავუშვათ პროკურატურას ვაგინე დედის ტ@ი. დედა ჰყავს პროკურატურას?? თუ არ ვიცი რამე“, რომელიც ადვოკატმა მოგვიანებით ასევე წაშალა.

ადვოკატ ლ-–- ჯ----------ს მიერ 2022 წლის 6 მაისს ეთიკის კომისიაში წარდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, დიდუბე-ჩუღურეთის პირველ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება. ამ საქმეში ის არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ს-------საგან“ დაზარალებული. ორგანიზაციის ადვოკატმა ე-–----- რ------მ მისი სახელით შექმნა „Facebook“-ის ყალბი ანგარიშები. ადვოკატმა ე-–----- რ------მ მსხვერპლად შენიღბულ პროვოკატორთან ერთად შექმნა და აწარმოა ყალბი მიმოწერები, რითაც შეცდომაში შეიყვანა მართლმსაჯულება და შემდეგ მას ცილი დასწამა არაერთი სატელევიზიო ეთერით. შესაბამისად, ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ პროკურატურის მიერ სადავოდ გამხდარი მიმოწერა შექმნილია ე-–----- რ-----ის მიერ გრანტის აღების მიზნით. ადვოკატის განმარტებით ამ საქმეზე არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას, რომ საქმე გამოეძიებინათ და დაესაჯათ დამნაშავე პირები, მაგრამ ნაცვლად ამისა, პროკურატურის გენერალური ინსპექცია მას - დაზარალებულს უჩივის ეთიკის კომისიაში.

ადვოკატმა აგრეთვე განმარტა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელდა ჰაკერული თავდასხმა, გაუტეხეს „Facebook“ ანგარიში „ლ-–- ჯ----------“ სადაც 4700 „მეგობარი“ ჰყავდა და ასევე „Facebook“ ჯგუფები 102000 და 27000 ადამიანის შემადგენლობით, აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა პოლიციაში.

ადვოკატმა სადავოდ მიიჩნია წარმოდგენილი მტკიცებულებები და უარყო სადავო ფრაზების მისადმი კუთვნილება. ასევე მიიჩნია, რომ არსებობს საქმეზე დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძვლები, ვინაიდან ის არ წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს და არც პროცესის მონაწილეა, რომელსაც ექნებოდა ეთიკური ვალდებულებები პროკურატურის მიმართ.

ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში დაფიქსირებული პოზიციის თანახმად სოციალურ ქსელ ფეისბუქში პროფილი „ადვოკატი ლ-–- ჯ----------/lawyer l--

-- j----------“ მას არ ეკუთვნის და მას არ გამოუქვეყნებია სადავო პოსტი. ამასთან, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ „სქრინში“ ასახული გვერდის ბმული და დასახელება, არ ემთხვევა მისი ოფიციალური გვერდის ბმულს და მონაცემებს. ადვოკატის განმარტებით, სადავო პოსტის გამოქვეყნების დროისთვის მასზე ხშირად ხორციელდებოდა ჰაკერული თავდასხმები, რის გამოც მან დაიქირავა თანამშრომელი, რათა დაეცვა ციფრული რესურსები, მასთანვე გაიარა სოციალური მედიის კურსი. აღნიშნულ პიროვნებას, რომლის სახელია ϰ---- ა-----, ადვოკატმა მიწერა დავით გეგეშიძის პროფილით 2022 წლის 22 აპრილს. ადვოკატის მითითებით, რომც დადასტურდეს, რომ ეს განცხადებები მის გვერდზე ნამდვილად იყო განთავსებული, ისინი მას არ დაუწერია. ადვოკატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია გამოძიების დაწყების ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ მას სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდები გაუტეხეს. ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2022 წლის 16 აგვისტოს. 23 აპრილის განცხადებასთან დაკავშირებით მან აცნობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს, რომლებმაც ზეპირ საუბარში განუმარტეს, რომ აზრი არ ექნებოდა გამოძიების დაწყებას, რადგან სოციალურ ქსელ „Facebook“-ს საქართველოში არ ჰყავს ოფიციალური წარმომადგენელი.

ადვოკატის შეფასებით, მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ქცევის რომელიმე სტანდარტი.

2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ-–– ϰ----------–---ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

2022 წლის 28 დეკემბრის მიმართვით საქმე განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიის მეორე დისციპლინურ კოლეგიას.

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ **უდავოდ დადგენილად** მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ადვოკატ ლ-–– ϰ----------–---ს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში აქვს დაზარალებულის სტატუსი და მისი განცხადების საფუძველზე, არაერთ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. პროკურორები - ვ-------- გ-–––––––ი და კ---- ნ------ე აწარმოებენ საქმეს ადვოკატ ლ-–– ϰ----------–---ს მიმართვის საფუძველზე.

2. 2022 წლის 16 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის

გვერდიდან „ადვოკატი ლ-— ჯ----------/lawyer l---- j----------“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი: *„ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ------- გ----------ს და კ---- ნ------ეს, ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ არასამთავრობო ორგანიზაციის ს-------ს პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებს ხელს აფარებენ! მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომების მიღებას მოვითხოვ! ეს 2 ბოროტმოქმედი ქვეყანას არცხვენს თავის დანაშაულებრივი საქმიანობით დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (ნჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა ვინც არ იცით დიდუბე-ჩუღურეთის 2 პროკურორი წინა წლებში ქრთამის აღებებზე დაჭერილები. გველების ბუდედ იქცა პროკურატურა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია წმინდა მამა გაბრიელი პროკურატურის გვერდით გავლისას ინერწყვებოდა და პირჯვარს იწერდა ღმერთო ამათ სამართალში არასდროს არ ჩამაგდოვო....“.* აღნიშნულ პოსტს ერთვის ადვოკატ ლ-— ჯ----------ს ფოტო წარწერით: „ქვეყნის მოღალატეებად გაცხადებთ“.

3. 2022 წლის 21 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ-— ჯ----------/lawyer l---- j----------“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი: *„ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გავაკეთე, რომელიც დაბლოკეს!! პროკურორები და გენერალური პროკურორი (ქვეყნის მთავარი ბრალმდებელი) ი------— შ------- და მისი მოადგილეები სახელმწიფო ღალატში დამნაშავეების მფარველობაში ღიად დავადანაშაულე და მათი თანამდებობიდან მოხსნა მოვითხოვე!! დღეს საქართველოს პროკურატურა არის ქვის ხანაში ხალხო! გველების ბუდედ იქცა!!*

ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს გამყიდველ მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ------- გ----------ს და კ---- ნ------ეს და არამარტო მათ. ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ ბაბუცა პატარაიას არასამთავრობო ორგანიზაციის ს-------ს პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებებს ხელს აფარებენ!

საქმეში, რომელიც 2 ტომზე მეტია, არსებობს ცრუ ჩვენების მიცემა, მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ყალბი დოკუმენტების დამზადება გამოყენება და სხვა უამრავი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, გამომძიებელს არაერთხელ აქ თვითაცილების განცხადება დაწერილი ზეწოლის გამო.

ასეთი პროკურორები ქვეყანას არცხვენს, დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (ნჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა

ადგილი აქვს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევას.

პრემიერ მინისტრ ღარიბაშვილს მივმართავ გენერალური პროკურორის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. მე არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი ვარ, ეს განცხადება არაა პოლიტიკური. Formula . ფორმულა TV Pirveli . ტელეკომპანია პირველი მთავარი არხი . Mtavari Arkhi

მხარეთა შორის სადავოა, კონკრეტული 2022 წლის 16 აპრილისა და 2022 წლის

21 აპრილის „Facebook“ პოსტები დაწერილია თუ არა ადვოკატ ლ-–– ჯ----------
––ს მიერ.

ადვოკატი სამართალწარმოების დროს სადავო საკითხთან დაკავშირებით მუდმივად იცვლიდა პოზიციებს: კერძოდ, მისი განმარტებით, საქმეზე მტკიცებულების სახით დართული მიმოწერები არ არის ავთენტური და სადავოდ მიიჩნია, რადგან პროკურატურა აღნიშნული სიტყვებით არ მოუხსენებია. ამასთან, ადვოკატმა განმარტა, რომ ის არც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია და არც პროცესის მონაწილე, შესაბამისად საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ არ იცნობს საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელს - ი------– ც-------
-ს და ის არის არასათანადო მოპასუხე.

შეჯამების შედეგად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, კოლეგიამ მიიჩნია, რომ 2022 წლის 16 აპრილსა და 21 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ში სადავო საჯარო პოსტები გამოქვეყნებულია ადვოკატ ლ-–– ჯ----------–ს მიერ.

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ-–– ჯ----------–ს მიერ „Facebook“ პოსტში მითითებული ყოველი ფრაზა, სადაც შინაარსი იმგვარია, რომ ადვოკატი პროკურატურის თანამშრომლებს მოიხსენიებს როგორც „ქვეყნის მოღალატეებს“; „სახელმწიფოს მტრებს“; „ქვეყნის შემარცხვენლებს“; „გამყალბებლებს“; „მექრთამეებს“, ხოლო საქართველოს პროკურატურას კი „გველების ბუდედ“, არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ კრიტიკად, რადგან გადმოცემულია უხამსი ფორმით და შეურაცხმყოფელი ხასიათისაა. კონკრეტული პროკურორები და პროკურატურა მოხსენიებულია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით.

კოლეგიამ შეაფასა სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. საჩივრის ავტორს დააკისრა პოზიტიური ვალდებულება ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია „სქრინები“ სოციალური ქსელი „Facebook“-იდან, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 1. აღნიშნული განცხადებები გამოქვეყნებულია სოციალურ

ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ-–- ϫ----------–---/lawyer l---- j----------“, სადაც მითითებულია ადვოკატის ტელეფონის ნომერი და საქმის კონკრეტული გარემოებები; საქმის შინაარსის შესახებ ისეთი დეტალები, რომლებიც მხოლოდ ადვოკატ ლ-–- ϫ----------–---ს შეიძლება სცოდნოდა; 2. ადვოკატს არასოდეს მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის ზემოაღნიშნული გვერდი გაუტეხეს ან მოხდა მასზე უკანონო წვდომა. ადვოკატმა კოლეგიას წარმოუდგინა საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მიერ 2022 წლის 03 ოქტომბერს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ადვოკატმა ლ-–- ϫ----------–---მა 2022 წლის 18 აგვისტოს მიმართა პოლიციას განცხადებით, რომ 16 აგვისტოს ამ ეტაპზე დაუდგენელმა პირმა უნებართვოდ შეაღწია მის კუთვნილ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის პროფილზე - „ლ-–- ϫ----------–---“, რის შემდეგაც ამ პროფილზე მიბმულ ორ ფეისბუქ ϫგუფზე სახელებით „ადვოკატი ლ-–- ϫ----------–---- 5--------“ და „საქართველო“ ჩამოერთვა ადმინისტრატორის უფლებები ლ-–- ϫ----------–---ს პროფილს და მისი მეუღლის - მარიამ ჭყონიას პროფილს. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. თუმცა, მას ანალოგიური განცხადებით არ მიუმართავს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის „ადვოკატი ლ-–- ϫ----------–---/lawyer l---- j----------“-ს შესახებ. 3. ადვოკატ ლ-–- ϫ----------–---ს საϫაროდ არასოდეს უარყვია, რომ ის გამონათქვამები, რომლებიც მისი „Facebook“ პროფილიდან გამოქვეყნდა,მის მოსაზრებას არ წარმოადგენს, არ გამოუთქვამს არანაირი სინანული ან უარყოფა. 4. კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატის მოსაზრება, რომ ინფორმაციის არქონის პირობებში გამოქვეყნდა კონკრეტული „Facebook“ გვერდიდან „პოსტები“, კოლეგიამ მიუთითა, რომ ხსენებულთან მიმართებით ϫეროვანი არგუმენტი არ არის ის, რაც მოპასუხე ადვოკატმა წარადგინა - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, ვინაიდან ეს დასკვნა ეხება სხვა „Facebook“ გვერდს („ადვოკატი ლ-–- ϫ----------–--- . lawyer l---- j----------“) და კოლეგიას არ უმსϫელია სოციალურ ქსელ „Facebook“ სხვა გვერდიდან რაიმე განცხადება გაკეთდა თუ არა 2022 წლის აპრილში.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ-–- ϫ----------–---ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი (*ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები*) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები (*ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს; ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის*

მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას).

გადაწყვეტილების თანახმად, განხილვის კოლეგიის მიერ გათვალისწინებულ იქნა ადვოკატის დამოკიდებულება საკითხისადმი, ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას გამოჩენილი უპატივცემულობა, როგორც კომისიის წევრების, ასევე პროკურატურის წარმომადგენლის მიმართ და კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი ლ--- ჯ---------- ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს. ადვოკატის ქმედებით დაზიანდა ადვოკატის პროფესიის რეპუტაცია, შესაბამისად მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნებოდა ქმედითი დისციპლინური ღონისძიება. ამავე დროს საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება ყოფილიყო მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის ადვოკატს არ ჰქონდა შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

დისციპლინურ საქმეზე №033/22 დადგინდა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს /სიითი №6128/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა **გაფრთხილება.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 3 ნოემბრის №033/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - ლ--- ჯ----------მა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და არ არის გამყარებული მტკიცებულებებით.

სადისციპლინო პალატის 2023 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ-— ჯ----------ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 3 ნოემბრის №033/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს 2022 წლის 16 აპრილისა და 2022 წლის 21 აპრილის „Facebook“ პოსტები გამოქვეყნებულია თუ არა ადვოკატ ლ-— ჯ----------ს მიერ; მტკიცების ტვირთი სწორად განაწილდა თუ არა მხარეთა შორის და სადავო პოსტები ექცევა თუ არა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადვოკატ ლ-— ჯ----------ს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში აქვს დაზარალებულის სტატუსი და მისი განცხადების საფუძველზე არაერთ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. პროკურორები - ვ------- გ----------ი და კ---- ნ------ე აწარმოებენ საქმეს ადვოკატ ლ-— ჯ----------ს მიმართვის საფუძველზე.

2022 წლის 16 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ-— ჯ----------/lawyer l---- j----------“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი - **<u>ციტირება:</u>** *„ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ------- გ----------ს და კ---- ნ------ეს, ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ არასამთავრობო ორგანიზაციის ს-------ს პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებს ხელს აფარებენ! მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომების მიღებას მოვითხოვ! ეს 2 ბოროტმოქმედი ქვეყანას არცხვენს თავის დანაშაულებრივი საქმიანობით დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (ნჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა ვინც არ იცით დიდუბე-ჩუღურეთის 2 პროკურორი წინა წლებში ქრთამის აღებებზე დაჭერილები. გველების ბუდედ იქცა პროკურატურა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია წმინდა მამა გაბრიელი პროკურატურის გვერდით გავლისას ინერწყვებოდა და პირჯვარს იწერდა ღმერთო ამათ სამართალში არასდროს არ ჩამაგდოვო....“.* აღნიშნულ პოსტს ერთვის ადვოკატ ლ-— ჯ----------ს ფოტო წარწერით: „ქვეყნის მოღალატეებად გაცხადებთ“.

ასევე დადგენილია, რომ 2022 წლის 21 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლ-–– ჯ----------/lawyer l---- j----------“ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი - **ციტირება:** *„ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გავაკეთე, რომელიც დაბლოკეს!! პროკურორები და გენერალური პროკურორი (ქვეყნის მთავარი ბრალმდებელი) ი------– შ------ და მისი მოადგილეები სახელმწიფო ღალატში დამნაშავეების მფარველობაში ღიად დავადანაშაულე და მათი თანამდებობიდან მოხსნა მოვითხოვე!! დღეს საქართველოს პროკურატურა არის ქვის ხანაში ხალხო! გველების ბუდედ იქცა!!*
ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს გამყიდველ მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ------ გ-–––––ს და კ---- ნ------ეს და არამარტო მათ. ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ ბაბუცა პატარაიას არასამთავრობო ორგანიზაციის ს-------ს პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებებს ხელს აფარებენ!
საქმეში, რომელიც 2 ტომზე მეტია, არსებობს ცრუ ჩვენების მიცემა, მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ყალბი დოკუმენტების დამზადება გამოყენება და სხვა უამრავი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, გამომძიებელს არაერთხელ აქ თვითაცილების განცხადება დაწერილი ზეწოლის გამო.
ასეთი პროკურორები ქვეყანას არცხვენს, დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (ნჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა
ადგილი აქვს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევას.
პრემიერ მინისტრ ღარიბაშვილს მივმართავ გენერალური პროკურორის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. მე არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი ვარ, ეს განცხადება არაა პოლიტიკური. Formula . ფორმულა TV Pirveli . ტელეკომპანია პირველი მთავარი არხი . Mtavari Arkhi

„Facebook“ მომხმარებლის „ადვოკატი ლ-–– ჯ----------.lawyer l---- j----------“ მეშვეობით გამოქვეყნებულია პოსტი შინაარსით: *„მაინტერესებს ვიმსჯელოთ:- დავუშვათ პროკურატურას ვაგინე დედის ტ@ი. დედა ჰყავს პროკურატურას?? თუ არ ვიცი რამე“*.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ზემოთ მითითებული „Facebook“ პოსტების ავტორი არის ადვოკატი ლ-–– ჯ----------.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, „Facebook“-ის იმ გვერდის სახელწოდება, რომლის საშუალებითაც ლ-–– ჯ----------–მა 2022 წლის 16 აპრილს საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ „Facebook“ გვერდს გაუგზავნა პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ტექსტი და გამოაქვეყნა იგივე შინაარსის განცხადება, შეცვლილია და დაფიქსირებულია როგორც „ლ-–– ჯ----------–“, რომელზეც მითითებულია ტელეფონის ნომერი - 5----------, რაც წარმოადგენს ადვოკატ ლ-–– ჯ----------–ს ტელეფონის ნომერს, რასაც ადასტურებს ის გარემოებები,

რომ საქართველოს პროკურატურაში ადვოკატის მიერ 2022 წლის 16, 17 და 19 აპრილს გაგზავნილ წერილებში თვითონ ლ-–- ჯ----------ს მიერ მის ტელეფონის ნომრად მითითებულია - 5----------; ასევე, სადისციპლინო პალატაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია იგივე ტელეფონის ნომერი.

გარდა ტელეფონის ნომრების იდენტურობისა, სადავო პოსტების ადვოკატ ლ-–- ჯ----------ს მიერ გამოქვეყნების ფაქტს ადასტურებს ადვოკატის მიერ 2022 წლის 16, 17 და 19 აპრილს საქართველოს პროკურატურაში გაგზავნილი წერილები:

- 2022 წლის 16 აპრილის №CA0041222574936 წერილი, ადრესატები: *საქართველოს პროკურატურა, ი-------- შ------- გენერალური პროკურორი თაღლითების, საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის თავმჯდომარე.*

სათაური: *ვითხოვ პროკურორების აცილებას*

შინაარსი-ციტირება:

„https://www.facebook.com/groups/585475231808836/permalink/1634054930284189/

ჩემი არაერთი განცხადების მიუხედავად დიდუბე ჩუღურეთის რაიონული პროკურორები სამსახურებრივად მფარველობენ არასამთავრობო ორგანიზაცია ს-------სდანაშაულებრივ ქმედებებს მოვითხოვ მათ სამსახურებიდან გაშვებას და მათ მიმართ უმკაცრეს ზომების მიღებას. ქვეყნის მოღალატეები და გაყიდველების ადგილი არ უნდა იყოს პროკურატურაში! ეს სამმარცხვინოგარეწარი ნაძირალა პროკურორები არათუ დამნაშავეების მიმართ სამართიანად იძიებენ საქმეს არამედ საქმეს არც მიწყვეტენ პირველყოფილი თეეური წყიბილებაა ამ უწყებაში ვითხოვ რადიკალურ ზომების მიღებას სასწრაფოდ ან ბენზნს დავისხავ და თავს დავიწვავ გენ პროკურატურის წინ და ტელევიზიებს მოვიწვევ. რას დაემსგავსა თქვენი უწყება რასსსს

პატივისცემით,

ლ-–- ჯ----------

პ. #: 0----------

მობილური: +9955--------

ელფოსტა: l-----j----------@mail.ru"

- 2022 წლის 17 აპრილის №CA0041222578334 წერილი, ადრესატები: *საქართველოს პროკურატურა, ნათია მერაბიშვილი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს პროკურატურა, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე მერაბ ჯერანაშვილი.*

სათაური: *განცხადება-საჩივარი Statement-Complaint*

შინაარსი-ციტირება: *"გთხოვთ დაიწყოთ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 100 101ე მუხლების საფუძველზედ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურორების ვ-------- გ-–- –-----ისდა კ---- ნ------ის მიმართ. გამოძიების პროცესშიზემოხსენებული პროკურორები გაანთავისუფლოთ დაკავებულ თანამდებობიდან. შს სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პირველ სამმართველოში*

მიმდინარეობს გამოძიება სს №002190121002 ზემოხსენებულსაქმეზედ გამომძიებელ ელდარ სოლომონიძეს არაერთხელ აქვს დაყენებული აცილების შუამდგომლობა. ზემოხსენებული პროკურორები წინასწარი დეტერმინირებულიგანზრახვით დამნასავეებს ზემოაღნიშნულსაქმეზე მფარველობენ და მათ დანაშაულებს ხელს აფარებენ.! რაც გამოიხატება მოცემულსაქმეზედ აშკარა დანაშაულის ნიშნებია რაც დასტურდება სამხარაულის ექსპერტიზით მიუხედავად ამისა მიუკერძოებელი ობიექტური პროკურორები სათანადო მუხლს და კვალიფიკაციას არ აძლევენ საქმეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების წინასწარი განზრახვით, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით ბოროტად გამოყენებას, რაც იწვევს სახელმწიფო ინტერესის არსებით დარღვევას. შესაბამისად, ქმედების საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, განისაზღვროს, მოხელე მოქმედებდა თუ არა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს მოხელის მიერ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ თავისი უფლებამოსილების გამოყენება სპეციალური მიზნით - თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღებისთვის და მოხელის ამ ქმედებით ადგილი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას. ასევე ადგილის შესაძლოა გქონდეს სამსახურებრივ გულგრილობას სამსახურებრივი გულგრილობა - გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების იხილეთ ჩემი ფეისბუქ საჯარო განცხადება რაც უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარეობს https://facebook.com/advocatory.ge.GE/posts/3036257793354001 ეს პროკურორებითავიანთ ქმედებებით მაიძულებენ ქვეყანა დავტოვო და საზღვარგარეთ ვეძიოთავშესაფარი და სახელმწიფოს მარტლმსაჯულების წინააღმდეგ გავაკეთო განცხადებები. მოგეხსენებათ 7ჯერ ოფიციალურად არის ჩემზე თავდასხმა განხორციელებული 7ვე ფაქტზე მიდის გამოძიება და აქედან 4 ამ პროკურორებს აქვთ. მოცემულ საქმეზედ პროკურორებისახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს არღვევენ უხეშად, მათ იძულებულიგამხადეს მათ რომსხვა განყოფილებაში შემეტანა საჩივარი და მომეთხოვა საკუთარი კანონიერი ინტერესები დაცვა. ვითხოვ მათ მიამრთ გამოძიების დაწყებას და მოცემულ საქმიდან ჩამოშორებას წინააღმდეგ შემტხვევაში ბრიფინგს გავაკეთებ და გენერალურ პროკურატურის გენ ინსპექციის ცნობილ პროკურორებს ღაიდ ქვეყნსი ღალატში და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში დავადანაშაულება. მაშინ როდესაც ცნობილი ადვოკატი ვარ დაჩემს განცხადებებს ათიათასობით მოწონება და გაზიარებებიაქვს პროკურორები ასეთ უკანონოქმედებებს არ უნდა ანხორციელებდნენ ესაა სახელმწიფოს ღალატი და სირცხვილი. ვითხოვ ასევე ამ საქმეზე საქართველოს საპროკურორო საბჭოსგან გენერალურ პროკურორის ი------– შ-------ს პირად პასუხისმგებლობას და მის თანამდებობიდან გადაყენებას.

დოკუმენტები:

1) ცრუ ჩვენებაზედ.pdf

2) სიყალბეზედ.docx;

პატივისცემით,

ლ— ჯ----------—

პ. #: 0----------

მობილური: +9955--------

ელფოსტა: l-----j----------@mail.ru"

- 2022 წლის 19 აპრილის №CA0041222661428 წერილი, ადრესატები: საქართველოს პროკურატურა, ი-------– შ-------, საქართველოს გენერალური პროკურატურა.

სათაური: *პროკურორთა დანაშაულის თაობაზე ვითხოვ გამოძიების დაწყებას*

შინაარსი - ციტირება: *გთხოვთ სისხლის სამართლის კოდექსის 100 101 ე მუხლსი საფუძველზედ დაიწყოთ გამოძიება დიდუბე ჩუღურეთის რაიონულ პროკურორების კ---- ნ------ის და ვ------- გ-–––––––ის წინააღმდეგ* ***<u>უზარაზმარარი გამოხმაურება მოყვა ჩემს საჯარო განცხადებას სადაც აღნიშნული პროკურორებივამხილე</u>***

<u>https://facebook.com.advocatory.ge.GE/posts/3036257793354001</u> ვითხოვ ობიექტურ გამოძიებისდაწყებას მათ მიამრთ და მათ სამსახურებიდან განთავისუფლებას

პატივისცემით,

ლ–– ჯ----------

პ. #: 0----------

მობილური: +9955--------

ელფოსტა: l-----j----------@mail.ru"

სადისციპლინო პალატა შეაფასებს 2022 წლის 16 აპრილის №CA0041222574936 წერილს სადავო პოსტებთან მიმართებით და მიუთითებს, რომ აღნიშნული წერილის შინაარსი სრულ თანხვედრაშია სადავო პოსტების შინაარსთან. მასში, ისევე როგორც სადავო პოსტებში, გამოთქმულია უკმაყოფილება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის კონკრეტული პროკურორების მიმართ, რომლებსაც ადანაშაულებს მისი აზრით დამნაშავეთა მფარველობაში, მოითხოვს მათ სამსახურიდან გათავისუფლებას, უწოდებს მათ ქვეყნის მოღალატეებს და გამყიდველებს, სამარცხვინოებს, გარეწრებს და ნაძირლებს. 2022 წლის 17 აპრილის №CA0041222578334 წერილში კი მიუთითებს იგივე პროკურებზე, რომლებზეც უთითებდა 2022 წლის 16 აპრილის სადავო პოსტში და მოითხოვს მათი სამსახურიდან გათავისუფლებას, მათ მიმართ გამოძიების დაწყებას იმაზე მითითებით, რომ ისინი მფარველობენ დამნაშავეებს, უთითებს ხსენებული პროკურორების მხრიდან ქვენის ღალატზე და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში დადანაშაულებაზე. რაც შეეხება 2022 წლის 19 აპრილის №CA0041222661428 წერილს, მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ ***თავად ადვოკატის მხრიდან ხდება სადავო პოსტის მისადმი კუთვნილების აღიარება, რადგან წერილში ის მოითხოვს იგივე პროკურების მიმართ გამოძიების დაწყებას <u>და უთითებს, რომ მის მიერ გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებას, სადაც ამხილა აღნიშნული პროკურორები, უზარმაზარი გამოხმაურება მოყვა.</u>***

სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატ ლ–– ჯ----------ს მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები პრაქტიკულად იდენტურია სადავო პოსტებში დაფიქსირებული

შინაარსის და მოსაზრებებისა; ამავდროულად, წერილებსა და სადავო პოსტებში გამოყენებულია პრაქტიკულად იდენტური შეურაცხმყოფელი სიტყვები, ხოლო, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2022 წლის 19 აპრილს გაგზავნილ წერილში ადვოკატი ღიად უთითებს, რომ ***<u>მის მიერ გამოქვეყნებულ საჯარო განცხადებას, სადაც ამხილა აღნიშნული პროკურორები, უზარმაზარი გამოხმაურება მოყვა.</u>*** გარდა სადავო პოსტებისა და პროკურატურაში გაგზავნილი წერილების ერთგვაროვანი შინაარსისა, ნიშანდობლივია თვით სადავო პოსტების გამოქვეყნებისა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წერილების წარდგენის თარიღების თანხვედრა. კერძოდ, „Facebook"-ზე პირველი სადავო პოსტი გამოქვეყნდა და პროკურატურაში პირველი წერილი წარდგენილ იქნა ერთი და იმავე დღეს - 2022 წლის 16 აპრილს, ხოლო შემდგომ, 2022 წლის 17 და 19 აპრილს, ჯერ მომდევნო წერილები იქნა წარდგენილი პროკურატურაში და მალევე, 2022 წლის 21 აპრილს „Facebook"-ზე გამოქვეყნდა მეორე სადავო პოსტი. ამდენად, მხოლოდ ამ გარემოებათა შეფასებაც საკმარისია და იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ სადავო საჯარო პოსტები გამოქვეყნებულია ადვოკატ ლ-– - ჯ----------ს მიერ, რამეთუ საწინააღმდეგოს *(სადავო პოსტების სხვა პირის მიერ გამოქვეყნება)* დაშვების შემთხვევაში, არაგონივრულია და შეუძლებელიც არის, რომ ზედმიწევნით თანხვედრაში ყოფილიყო როგორც სადავო პოსტების/პროკურატურაში წარდგენილი წერილების შინაარსი და მათში გამოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვების ტერმინოლოგია, ასევე მათი გამოქვეყნებისა და წარდგენის თარიღები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სადისციპლინო პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებში არსებულ, ადვოკატ ლ-–- ჯ----------ს მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის იურისტ მ----- ი---------სთან გაგზავნილ შეტყობინებაზე - *დაზარალებულის სტატუსი მაქვს და შესაბამისად უკმაყოფილო ვარ პროკურატურის თანამშრომლების უმოქმედობით და ჩემი კრიტიკული გამონათქვამები ლეგიტიმურ მიზანში ჯდება და დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს...* ადვოკატის ამ შეტყობინების შინაარსი, სადაც ის უთითებს, რომ უკმაყოფილოა პროკურატურის თანამშრომლების უმოქმედობით და რომ მისი კრიტიკული გამონათქვამები ლეგიტიმურ მიზანში ჯდება და დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენს სადავო პოსტის მისადმი კუთვნილების დადასტურებას და ამავდროულად ის ცდილობს გარკვეულ გამართლება მოუძებნოს მას *(იხ. ადვოკატთა ასოციაციაში საქმის წარმოების მასალები, ს.ფ. 106).*

სადისციპლინო პალატა ასევე, ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის პოზიციის არათანმიმდევრულობაზე. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ის უთითებს, რომ არის ჰაკერული თავდასხმის მსხვერპლი, რადგან გაუტეხეს „Facebook" ანგარიში, რაც

თავისთავად გულისხმობს ადვოკატის მხრიდან დადასტურებას იმისა, რომ სადავო პოსტი გამოქვეყნდა ადვოკატის კუთვნილი „Facebook“ ანგარიშიდან, თუმცა არა მის მიერ, არამედ ჰაკერული თავდასხმის შედეგად სხვა პირის მიერ. ამადროულად, ადვოკატი უთითებს, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პროფილი „ადვოკატი ლ-–- ϰ----------/lawyer l---- j----------“ მას არ ეკუთვნის და მას არ გამოუქვეყნებია სადავო პოსტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატ ლ-–- ϰ----------ს სახელით - პროფილი „ადვოკატი ლ-–- ϰ----------/lawyer l---- j----------“ შექმნა სხვა პირმა, რომელმაც გამოაქვეყნა სადავო სტატუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების ურთიერთშეϰერების, მათი ერთობლივი, სისტემური ანალიზისა და შეფასების შედეგად სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მითითება მასზედ, რომ „Facebook“ ანგარიში - „ადვოკატი ლ-–- ϰ----------/Lawyer L---- j----------“ მას არ ეკუთვნის და ის არ არის სადავო პოსტების ავტორი, რის გამოც, საჩივრის ავტორის მითითების საპირისპიროდ, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ 2022 წლის 16 აპრილისა და 2022 წლის 21 აპრილის „Facebook“ პოსტების ავტორი ადვოკატი ლ-–- ϰ----------ა.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას მასზედ, რომ *მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გამორიცხავს მის მიერ სადავო სტატუსების გამოქვეყნებას,* პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილია არა ექსპერტიზის დასკვნა, არამედ №007351223 აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ. აღნიშნული აქტის თანახმად - *„Facebook” გვერდის: „ადვოკატი ლ-–- ϰ----------.lawyer l---- j----------” დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ გვერდზე არ ფიქსირდება 2022 წლის 16 და 21 აპრილის „Facebook” სტატუსები (პოსტები) და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, სტატუსების (პოსტების) გამოქვეყნების და წაშლის თარიღები და დროები და ასევე მათთან დაკავშირებული IP (Internet Protocol) მისამართების შესახებ ინფორმაცია“ (იხ. ადვოკატთა ასოციაციაში საქმის წარმოების მასალები ს.ფ. 532).* დასახელებულ აქტთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა იზიარებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში მითითებულ მსϰელობას მასზედ, რომ აქტი შედგენილია *„Facebook” გვერდის: „ადვოკატი ლ-–- ϰ----------.lawyer l---- j----------“* დათვალიერების შედეგად, ხოლო სადავო პოსტები გამოქვეყნდა „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან - „ადვოკატი ლ-–- ϰ----------/lawyer l---- j----------“, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტის მიერ დათვალიერდა არა ის „Facebook“ გვერდი, საიდანაც განხორციელდა სადავო პოსტების გამოქვეყნება, არამედ სხვა „Facebook“ გვერდი. გარდა ამისა, პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ექსპერტს რომც დაეთვალიერებინა ის „Facebook“ გვერდი, საიდანაც

განხორციელდა სადავო პოსტების გამოქვეყნება, ექსპერტის აქტის შინაარსი არ გამორიცხავს „Facebook“ გვერდიდან - *„ადვოკატი ლ–– ჯ----------/lawyer 1---- j----------“* სადავო პოსტის გამოქვეყნებას, რამეთუ ის ფაქტი, რომ „Facebook“ გვერდიდან, საიდანაც განხორციელდა სადავო პოსტების გამოქვეყნება, პოსტების წაშლის ფაქტი დადასტურებულია როგორც საჩივრის ავტორის, ასევე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ხოლო აქტი მარტოოდენ იმ გარემოებაზე უთითებს, რომ დათვალიერებულ „Facebook“ გვერდზე *არ ფიქსირდება 2022 წლის 16 და 21 აპრილის „Facebook” სტატუსები (პოსტები) და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, სტატუსების (პოსტების) გამოქვეყნების და წაშლის თარიღები და დროები და ასევე მათთან დაკავშირებული IP (Internet Protocol) მისამართების შესახებ ინფორმაცია“.* ამდენად, აქტის შინაარსიდან გამომდინარე მხოლოდ ის გარემოება დგინდება, რომ დათვალიერებულ გვერდზე არ ფიქსირდება სტატუსების (პოსტების) გამოქვეყნების/წაშლის თარიღები/დროები და ასევე, მათთან დაკავშირებული IP (Internet Protocol) მისამართების შესახებ ინფორმაცია, რაც არათუ გამორიცხავს, არამედ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელი იყო პოსტის როგორც განთავსება, ასევე წაშლა.

საჩივრის ავტორის მომდევნო შედავებასთან მიმართებით, რომელიც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას შეეხება, სადისციპლინო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.* მითითებული პრინციპების მიხედვით, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი, მხარეს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთის ვალდებულებისგან. შესაბამისად, მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის პოზიციას. ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები კი, უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება საქართველოს გენერალური პროკურატურის მტკიცების საგანში შემავალი გარემოების - ადვოკატ ლ–– ჯ----------ს მიერ სადავო საჯარო პოსტების გამოქვეყნების ფაქტი, საწინააღმდეგო მტკიცების საპროცესო საშუალების წარმოდგენის ვალდებულებამ, საჩივრის ავტორის - ადვოკატ ლ–– ჯ----------ს მხარეს გადაინაცვლა. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას, საჩივრის ავტორს შეეძლო საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მითითებული გარემოებებისა და

წარმოდგენილი მტკიცებულებების გასაქარწყლებლად, თავად წარმოედგინა საპირისპირო გარემოების დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება, თუმცა, საჩივრის ავტორის - ადვოკატის მხრიდან რელევანტური საპირწონე მტკიცებულების წარმოუდგენლობის გამო, ვერ გაბათილდა სადავო საჯარო პოსტების ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ გამოქვეყნების ფაქტი.

სადისციპლინო პალატა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს ვერც იმ განმარტებას გაიზიარებს, რომ მის მიერ, 2022 წლის 16 აპრილსა და 2022 წლის 21 აპრილს საჯაროდ გამოქვეყნებული „Facebook“ პოსტები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის *(შემდგომში - კონვენცია)* მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე - ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, თუმცა, პალატა აქვე აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და სწორედ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ამ უფლების შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში. კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, *აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.* ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, *ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.*

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, *სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ*

უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის *(შემდეგში - „კონვენციის“)* მე-10 მუხლით, *ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.*

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №1/3/421,422 *(საქართველოს მოქალაქეები: გ.ყიფიანი და ა. უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ)* იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ *„გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. შესაძლოა სახელმწიფოს ასეთი შეზღუდვის დაწესების უფლება ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვეცნია ასეთ შემთხვევებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ვალდებულებას არ აწესებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში დაწესებული ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის ტესტს უნდა აკმაყოფილებდეს“.*

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორც ზოგადად გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ისე უშუალოდ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან მიმართებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში *(Schöpfer v. Switzerland, 20 May 1998, §§ 29-30, Reports 1998-III; Nikula v. Finland, no. 31611/96, § 45, ECHR 2002-II; Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, § 27, ECHR 2004-III; Kyprianou v. Cyprus [GC],*

no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII; André and Another v. France, no. 18603/03, § 42, 24 July 2008; and Mor v. France, no. 28198/09, § 42, 15 December 2011), თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ ნდობა გაუჩნდეთ, ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იურიდიული პროფესიის შესაძლებლობაში გასწიოს ეფექტიანი წარმომადგენლობა *(Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 175, ECHR 2005-XIII).* დამოუკიდებელი პროფესიონალის ეს სპეციალური როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატებს მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს, კონკრეტულად, მათ ქცევასთან მიმართებაში *(Van der Mussele v. Belgium, 23 November 1983, Series A no. 70; Casado Coca v. Spain, 24 February 1994, § 46, Series A no. 285-A; Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI; Veraart v. the Netherlands, no. 10807/04, § 51, 30 November 2006; and Coutant v. France (dec.), no. 17155/03, 24 January 2008).* **ამ მოვალეობების თანახმად, ადვოკატებს მოეთხოვებთ კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული ქცევა.** სანაცვლოდ, ისინი აღჭურვილნი არიან ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, მათ შორის, თავისუფლებით არგუმენტების წარდგენისას სასამართლო დარბაზში *(Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI).* შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ ადვოკატებიც, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შეხედულებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ეს ინფორმაცია და შეხედულებები ვრცელდება (Foglia v Switzerland, no. 35865/04, § 85, 13 December 2007). კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატებს უფლება აქვთ საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე, **თუმცა მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს** *(Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, §§ 27-28, ECHR 2004-III; Foglia, v Switzerland, no. 35865/04, § 86, 13 December 2007; Mor v. France, no. 28198/09, § 43, 15 December 2011).* **ასეთი საზღვრები დაწესებულია ჩვეულებრივი აკრძალვებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადვოკატთა ქცევის კოდექსი სხვადასხვა ქვეყანაში** *(Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII),* **სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადვოკატის „ღირსებას", „პატივს", „კეთილსინდისიერებას" და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ პატივისცემას** *(იხ. სუსგ საქმეზე №ას-622-2022, 05/07/2023 წ.).*

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, *ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.* ამავე კანონის მე-3 მუხლის „ლ" პუნქტის თანახმად, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, ხოლო მე-5 მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები ადვოკატს ავალდებულებს ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ შელახოს სასამართლოს და

პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

გარდა ამისა, სადისციპლინო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-მ/7-16).*

განსახილველ შემთხვევაში, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, გამონათქვამების შინაარსიდან და იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რა კონტექსტშიც ისინი გაჟღერდა, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის შეფასებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ გამოქვეყნებულ „Facebook“ პოსტში პროკურატურის თანამშრომლების მოხსენიება როგორც **„ქვეყნის მოღალატეები“, „სახელმწიფოს მტრები“, „ქვეყნის შემარცხვენლები“, „გამყალბებლები“, „მექრთამეები“, ხოლო საქართველოს პროკურატურის მოხსენიება „გველების ბუდედ“** - სცდება კრიტიკის დასაშვებ საზღვრებს, რამეთუ პროკურატურა და კონკრეტული პროკურორები მოხსენიებულნი არიან არაეთიკური, აგრესიული, შეურაცხმყოფელი ეპითეტებით და კრიტიკა გადმოცემულია უხამსი *(განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს - "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „3“ პუნქტი)* ფორმით, რაც ლახავს პროკურორთა პატივს, ღირსებას და ემსახურება პროკურატურის სისტემის დისკრედიტაციას. შესაბამისად, ამგვარი კრიტიკა ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის *(შემდგომში - კონვენცია)* მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებითაც,

დაუშვებელია ადვოკატმა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე გააკეთოს განცხადებები, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ სცდება კომენტარისათვის დასაშვებ ფარგლებს, ან მიმართოს შეურაცხყოფას *(Karpetas v. Greece, no.6086/10, § 78, 30 October 2012; A v. Finland (dec.), no. 44998/98, 8 January 2004; Coutant v. France (dec.), no. 17155/03, 24 January 2008) (იხ. სუსგ საქმეზე №ას-622-2022, 05/07/2023 წ.).*

ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატი ლ--- ჯ---------- თავისი ქცევით - პროკურატურის სისტემისა და კონკრეტულ პროკურორთა უხამსი შინაარსის კრიტიკით, არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს და უგულვებელყო პროფესიული ქცევის წესები, რომელიც უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებასა და ეთიკის სტანდარტებს. შესაბამისად, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ლ--- ჯ----------ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების დარღვევის ფაქტს, რაც ქმნის ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

აქვე, პალატა აღნიშნავს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მითითება იმ გარემოებაზე, რომ იგი არც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია და არც პროცესის მონაწილე, რომელსაც პროკურატურის მიმართ რაიმე ეთიკური ვალდებულებები ეკისრებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს. ასე მაგალითად, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლის მიხედვით, *ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები;* ამავე კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, *ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს;* ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, *ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.* ამავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კი, *ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.* ამდენად, კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების

შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ ერთ-ერთი საქმეზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება გაავრცელა ადვოკატზე, რომლის ქმედებაც კონკრეტულად საადვოკატო საქმიანობას არ უკავშირდებოდა და განმარტა, რომ: *„ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე ლ. ს. გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისაგან“.*

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის,* ამავე მუხლის „ბ“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.* ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, *სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.*

განსახილველ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ლ-–– ჯ-----------–ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა *(მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი)* და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის *(მე-9 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები)* მოთხოვნები, პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელის სახით - გაფრთხილება; შესაბამისად, დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ლ-–– ჯ---- ---–––––– საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 3 ნოემბრის №033/22 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **რევაზ ნადარაია**

მოსამართლეები: **გოჩა აბუსერიძე**

თეა ძიმისტარაშვილი